<i>In thousands of US Dollars</i>	31 December 2021	31 December 2020	1 January 2020
Amount due to Head Office	550	550	50
Movements in retained earnings:			
Beginning of financial year	392	56	-
Profit for the year	10	336	56
Net residual attributable to Head Office	952	942	106

Fieldcore Service Solutions International LLC Georgia Branch
Notes to the Financial Statements

11 Revenue

<i>In thousands of US Dollars</i>	2021	2020
Revenue from rendering of services	748	979
Total revenue	748	979

12 Other operating expenses

<i>In thousands of US Dollars</i>	2021	2020
Taxes other than on income	239	40
Other	1	-
Total other operating expenses	240	40

Refer to Note 9 for information about Taxes other than on income.

13 Contingencies and Commitments

Legal proceedings. From time to time and in the normal course of business, claims against the Branch may be received. On the basis of its own estimates and both internal and external professional advice, the Management is of the opinion that no material losses will be incurred in respect of claims in excess of provisions that have been made in these consolidated financial statements.

Tax legislation. The taxation system in Georgia is relatively new and is characterised by frequent changes in legislation, official pronouncements and court decisions, which are often unclear, contradictory and subject to varying interpretation by different tax authorities. Taxes are subject to review and investigation by a number of government bodies, which have the authority to impose severe fines, penalties and interest charges.

A tax year remains open for review by the tax authorities during the five subsequent calendar years, however, under certain circumstances a tax year may remain open longer. These circumstances may create tax risks in Georgia that are substantially more significant than in many other countries.

The Branch's uncertain tax positions are reassessed by management at the end of each reporting period. Liabilities are recorded for income tax positions that are determined by management as more likely than not to result in additional taxes being levied if the positions were to be challenged by the tax authorities.

The assessment is based on the interpretation of tax laws that have been enacted or substantively enacted by the end of the reporting period. Liabilities for penalties, interest and taxes other than on income are recognised based on management's best estimate of the expenditure required to settle the obligations at the end of the reporting period.

Management believes that it has provided adequately for tax liabilities based on its interpretations of applicable Georgian tax legislation, official pronouncements and court decisions. However, the interpretations of the relevant authorities could differ and the effect on these financial statements, if the authorities were successful in enforcing their own interpretations, could be significant.

Environmental matters. The enforcement of environmental regulation in Georgia is evolving and the enforcement posture of government authorities is continually being reconsidered. The Branch periodically evaluates its obligations under environmental regulations. As obligations are determined, they are recognised immediately. Potential liabilities, which might arise as a result of changes in existing regulations, civil litigation or legislation, cannot be estimated but could be material. In the current enforcement climate under existing legislation, management believes that there are no significant liabilities for environmental damage.

14 Events after the Reporting Period

No significant events after the reporting period were occurred.

შპს ფილდკორ სერვის სოლუშენს ინთერნეშენალ ჯორჯია ფილიალი

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების
საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს სტანდარტები)
შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერი

ქეთევან ჭეიშვილი

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	3

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 შპს ფილდკორ სერვის სოლუშენს ინთერნეშენალ ჯორჯია ფილიალი და მისი საქმიანობა.....	4
2 ფილიალის საოპერაციო გარემო	4
3 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი	5
4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	5
5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას	8
6 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	9
7 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9
8 სავაჭრო მოთხოვნები	10
9 სავაჭრო ვალდებულებები	10
10 სათაო ოფისზე მიკუთვნებადი წმინდა ნარჩენი.....	10
11 ამონაგები.....	11
12 სხვა საოპერაციო ხარჯები	11
13 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები	11
14 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგომი მოვლენები	12

ბილალ ჭეიშყაძე

შპს ფილდგორ სერვის სოლუშენს ინტერნეშნალ ჯორჯია ფილიალი
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი აშშ დოლარი	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 1 იანვარი
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7	1,248	255	46
საგადასახადო აქტივები, ნეტო		1	-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	-	1,735	579
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,249	1,990	625
სულ აქტივები		1,249	1,990	625
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულება, ნეტო		-	148	89
სავაჭრო ვალდებულებები	9	297	900	430
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		297	1,048	519
სულ ვალდებულებები სათაო ოფისისთვის მიკუთვნებად წმინდა ნარჩენამდე		297	1,048	519
სათაო ოფისზე მიკუთვნებადი წმინდა ნარჩენი	10	952	942	106
წარმოდგენილი:				
სათაო ოფისისთვის გადასახდელი თანხები		550	550	50
გაუნაწილებელი მოგება		402	392	56
სულ ვალდებულებები და სათაო ოფისზე მიკუთვნებადი წმინდა ნარჩენი		1,249	1,990	625

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელმძღვანელობის სახელით ხელი მოეწერა 2022 წლის 21 სექტემბერს:

ჩაგლარ ჩელიკ

ჩიკაბ ჭეიშვილი

**შპს ფილდკორ სერვის სოლუშენს ინტერნეშენალ ჯორჯია ფილიალი
სრული შემოსავლის ანგარიშგება**

ათასი აშშ დოლარი	შენიშვნა	2021	2020
ამონაგები	11	748	979
პროფესიული ხარჯები		(209)	(402)
გამოყენებული მასალები		(261)	(224)
სხვა საოპერაციო ხარჯები	12	(240)	(40)
საოპერაციო მოგება		38	313
ფინანსური შემოსავალი		-	23
ფინანსური ხარჯები		(28)	-
მოგება დაბეგვრამდე და სათაო ოფისისთვის მიკუთვნებადი წმინდა ნარჩენი ღირებულების გადაფასებამდე		10	336
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
სათაო ოფისისთვის მიკუთვნებადი წმინდა ნარჩენი ღირებულების ზრდა ოპერაციებიდან		10	336

ფილიალი წილობრივ ინსტრუმენტებს არ გამოსცემს და შესაბამისად, არ წარადგენს საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას.

სათაო ოფისისთვის მიკუთვნებადი წმინდა ნარჩენი ღირებულების მოძრაობა შემდეგია:

ათასი აშშ დოლარი	შენიშვნა	2021	2020	2019
საბალანსო ღირებულება 1 იანვრის მდგომარეობით		942	106	-
დაფინანსება სათაო ოფისიდან		-	500	50
სათაო ოფისისთვის მიკუთვნებადი წმინდა ნარჩენი ღირებულების ზრდა ოპერაციებიდან	10	10	336	56
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით		952	942	106

შპს ფილდკორ სერვისის სოლუშენს ინთერნეშენალ ჯორჯია ფილიალი
ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ათასი აშშ დოლარი	შენიშვნა	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		10	336
კორექტირებები: ფინანსური შემოსავალი		28	-
ფინანსური ხარჯები		-	(23)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		38	313
ზრდა / (შემცირება) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		1,735	(1,156)
(შემცირება) / ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(598)	470
(შემცირება) / ზრდა სხვა საგადასახადო ვალდებულებებში		(182)	82
წმინდა ფულადი სახსრები მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან / გამოყენებული საოპერაციო საქმიანობაში		993	(291)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან ტრანსფერი სათაო ოფისიდან	10	-	500
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		-	500
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		993	209
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		255	46
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	7	1,248	255

1 შპს ფილდკორ სერვის სოლუშენს ინთერნეშენალ ჯორჯია ფილიალი და მისი საქმიანობა

შპს ფილდკორ სერვის სოლუშენს ინთერნეშენალ ჯორჯია ფილიალი (შემდეგში „ფილიალი“) დააფუძნდა 2018 წლის 7 დეკემბერს ფილდკორ სერვის სოლუშენს ინთერნეშენალის (შემდეგში „სათაო ოფისი“) მიერ.

ფილიალი არ წარმოადგენს ცალკე დაფუძნებულ იურიდიულ პირს, ის წარმოადგენს უცხოური

საწარმოს ქვედანაყოფს, სარეგისტრაციო ნომრით # 402112450.

2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სათაო ოფისი მთლიანად

ეკუთვნოდა ჯენერალ ელექტრიკ კომპანი-ს, რომლის სათაო ოფისი მდებარეობს ბოსტონში,

ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ძირითადი საქმიანობა. ფილიალის ძირითადი საქმიანობაა ტექნიკური საკონსულტაციო და სამუშაო ძალით უზრუნველყოფის მომსახურების გაწევა ელექტროენერგიის გენერაციის საშუალებების მშენებლობასთან, მოვლა-შანახვასა და ექსპლუატაციაში გაშვებასთან დაკავშირებით, ძირითადად ჯენერალ ელექტრიკ ინთერნეშენალ ინკ.-ის საქართველოს ფილიალისთვის.

2019 წლის 1 სექტემბერს ფილიალმა არსებული ხელშეკრულება ჯენერალ ელექტრიკ ინთერნეშენალ ინკ.-ის საქართველოს ფილიალთან ელექტროენერგიის გენერირების საშუალებების სავსე საინჟინრო მომსახურების, ტექნიკური საკონსულტაციო და დაკავშირებული მომსახურებების გაწევაზე. აღნიშნული მომსახურებების გაწევა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. ამ მომსახურებების გასაწევად ფილიალი ქირაობს კონტრაქტორებს და General electric International Inc-ის საქართველოს ფილიალს ქვითრებს წარუდგენს ასანაზღაურებლად კონტრაქტორების მიერ ფაქტობრივად დახარჯული სამუშაო საათების საფუძველზე, გამრავლებული წინსწარგანსაზღვრულ საათობრივ განაკვეთზე ან ფაქტობრივი დანახარჯებისა და ფასნამატის საფუძველზე.

ფილიალის რეგისტრირებული ოფისის მისამართია საქართველო, თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #129ა.

2 ფილიალის საოპერაციო გარემო

ფილიალის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში ოფიციალურად გამოაცხადა COVID -19 პანდემია. საქართველოს მთავრობამ მიიღო მთელი რიგი შესაბამისი ზომები COVID -19 - ის გავრცელებისა და მისი გავლენის შესაჩერებლად, როგორიცაა შეზღუდვები მგზავრობაზე, კარანტინი და სხვა ზიზნეს-შეზღუდვები. ზოგიერთი ზემოაღნიშნული ზომა შემდგომში შემსუბუქდა, თუმცა, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გლობალური ინფექციის გავრცელების დონე რჩება მაღალი, ვაქცინაციის მაჩვენებელი შედარებით დაბალია და არსებობს რისკი, რომ საქართველოს ხელისუფლებამ დააწესოს დამატებითი შეზღუდვები შემდგომ პერიოდებში, მათ შორის ვირუსის ახალი ვარიანტების გავრცელების გამო.

2021 წელს, საქართველოს ეკონომიკამ პანდემიისგან აღორძინების დადებითი დინამიკა აჩვენა. ამ ტენდენციას ასევე დაეხმარა გლობალური ეკონომიკის აღორძინება და გლობალურ სასაქონლო

ქეთევან ჭეუჭუაშვილი

2 ფილიალის საოპერაციო გარემო (გაგრძელება)

ბაზრებზე ფასების ზრდა. თუმცა, საქართველოს და გლობალურ ბაზრებზე მაღალი ფასები ასევე ხელს უწყობს ინფლაციას საქართველოში. მიმდინარე ეკონომიკური სიტუაციისა და ზემოაღნიშნული ზომების სამომავლო ეფექტების პროგნოზირება რთულია და ხელმძღვანელობის მიმდინარე მოლოდინები და შეფასებები შეიძლება განსხვავდებოდეს ფაქტობრივი შედეგებისგან.

არსებული ეკონომიკური სიტუაციისა და ზემოაღნიშნული ზომების სამომავლო გავლენის წინასწარ განჭვრეტა რთულია და ხელმძღვანელობის ამჟამინდელი მოლოდინები და შეფასებები შეიძლება განსხვავდებოდეს ფაქტობრივი შედეგებისგან.

3 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

განცხადება შესაბამისობის შესახებ. წინამდებარე წლიური ფინანსური ანგარიშგება ფილიალის პირველი ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა ("მსს ფასს სტანდარტები") და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. კომპანიის აღნიშნულ სტანდარტებზე გადასვლის თარიღია 2020 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამოწვევების გარდა მსს ფასს სტანდარტებით მოითხოვება მსს ფასს სტანდარტების რეტროსპექტული გამოყენება, რაც ძალაშია 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის. მსს ფასს სტანდარტები გამოყენებულ იქნა 2020 წლის 1 იანვარს საწყისი ფინანსური მდგომარეობის მოსამზადებლად, ასევე შემდეგ პერიოდებში, რომლებიც ასახულია მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად მომზადებულ მის პირველ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შეფასების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულ იქნა პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის კონვენციის შესაბამისად.

მსს ფასს სტანდარტების პირველად გამოყენება. ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღამდე ფილიალს არ მოეთხოვებოდა რაიმე ფინანსური ანგარიშგების მომზადება და მას წარსულში არ მოუმზადებია რაიმე ფინანსური ანგარიშგება. ამგვარად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული არ არის ადრინდელი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლებიდან მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლის შეჯერება და იმის ახსნა, როგორი გავლენა მოახდინა აღნიშნულმა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფილიალმა გამოიყენა რეტროსპექტული გამოყენების სავალდებულო გამოწვევები და არ აურჩევია რეტროსპექტული გამოყენების რომელიმე ნებადართული გამოწვევის გამოყენება.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტის გადაყვანა. ფილიალის სამუშაო ვალუტაა აშშ დოლარი ("USD"). წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია აშშ დოლარში ("USD"), რომელიც ფილიალის წარსადგენი ვალუტაა.

ოპერაციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები ფილიალის სამუშაო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი, წარმოქმნილი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და აქტივებისა და ვალდებულებების ფილიალის სამუშაო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო კურსით გადაყვანიდან, ფინანსური შემოსავლის ან დანახარჯის სახით აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს

ქეთევან ზეიფიძე

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოთხოვნამდე საბანკო ნაშთებს, ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად გარიგების ფასით აღიარდება. შემდეგ ისინი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები მიმოხილვება, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები ანაზღაურებადი არ არის. თუ ეს ასეა, მაშინ გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველად გარიგების ფასით აღიარდება, შემდეგ ისინი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ფილიალს გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება, და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხები ფასდება ვალდებულების ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებასა და ვალდებულებისთვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო ანარიცხის ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიცია. ხელმძღვანელობა ფილიალის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, რომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან კითხვები რომ დაისვას. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე.

სათავო ოფისზე მიკუთვნებადი საკუთარი კაპიტალი. ფილიალი არ არის ცალკე დაფუძნებული სამართლებრივი ერთეული, მაშასადამე, წილობრივ ინსტრუმენტებს არ გამოსცემს. 'სათავო ოფისზე მიკუთვნებადი საკუთარი კაპიტალი' წარმოდგენილია გაუნაწილებელი მოგებით და სათავო ოფისისთვის გადასახდელი/მისგან მისაღებით თანხებით.

ფილიალი 'სათავო ოფისზე მიკუთვნებად საკუთარ კაპიტალს' აფასებს მსს ფასს-ის შესაბამისად, მისი წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებით.

ამონაგების აღიარება. ამონაგები აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია ფილიალში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა და შესაძლებელია ამონაგების საიმედოდ შეფასება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანგარიშსწორების რეალური ღირებულებით, ფასდაკლებების, უკან დაბრუნებების და დღგ-ის გარეშე.

ამონაგები მომსახურების გაწევიდან. ამონაგები სავსე საინჟინრო მომსახურებისა და ტექნიკური საკონსულტაციო მომსახურების გაწევიდან აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც განხორციელდა მომსახურების გაწევა, კონტრაქტორების მიერ ფაქტობრივად დახარჯული სამუშაო საათების საფუძველზე, ან ფაქტობრივი დანახარჯებისა და წინასწარგანსაზღვრული ფასნამატის საფუძველზე.

ქეთევან ჭყეუშვილი

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული ან არსებითად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან

გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომჟღავნებულ მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით. მოგების გადასახადი, 15% მთლიან თანხაზე (ანუ ნეტო დივიდენდები იბეგრება 5%-იანი განაკვეთით, საჭიროების შემთხვევაში, და მთლიანი თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე), გადახდელია ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. 2017 წლის 1 იანვრიდან გამომჟღავნებული მოგებიდან რეზიდენტი იურიდიული პირებისათვის გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ 'გადასახადებში', და არა მოგების გადასახადში.

დამატებული ღირებულების გადასახადი. წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილი უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) მოთხოვნების ამოღება კლიენტებისაგან ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღგ ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ის საპირისპიროდ, დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე. ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებით გადასახდელი დღგ წლით გადავადდება საწარმოებისათვის, რომელთაც 20%-ზე მეტი დღგ-გან გათავისუფლებული ბრუნვა აქვთ დამატებითი ღირებულების გადასახადი.

გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა. 2015 წლის 7 დეკემბერს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება #407, რომლის მიხედვით გადასახადის გადამხდელთა მოვალეობები, ყველა გადასახადთან მიმართებით, მათ შორის კორპორატიული მოგების გადასახადი, და ყველა

ქეთევან ჭეიქიძე

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადასახადის გადამხდელის გადასახადის გადახდები აღირიცხება ერთიან საგადასახადო ანგარიშში. შედეგად, 2016 წლის 1 იანვრისთვის ყველა საგადასახადო ვალდებულება და საგადასახადო აქტივი წარმოდგენილი იქნა ნეტო საფუძველზე. შედეგად მიღებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთები ანგარიშგებულია, როგორც სხვა საოპერაციო ხარჯების მუხლში „გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, ნეტო“.

5 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ფილიალი აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. დაშვებების და მსჯელობის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა, აგრეთვე, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას იყენებს გარკვეულ განსჯას შეფასებებთან ერთად. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, შეიცავს შემდეგს:

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე მოამზადა. ხელმძღვანელობამ აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა, გაანალიზა კომპანიის ოპერაციებზე მაკრო-ეკონომიკური ვითარების ზეგავლენა.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება. დებიტორული დავალიანების გაუფასურების ანარიცხები დამოკიდებულია კომპანიის მიერ კონკრეტული მომხარებლებისგან დავალიანებების ამოღებადობის შეფასებაზე. ძირითადი მომხმარებლის კრედიტუნარიანობა თუ გაუარესებულია ან ფაქტობრივი დეფოლტები შეფასებულზე უფრო მეტია, მაშინ ფაქტობრივი მოთხოვნა შეიძლება განსხვავებული იქნეს შეფასებულისაგან. თუ კომპანია განსაზღვრავს, რომ ინდივიდუალურად შეფასებული მოთხოვნა გაუფასურებულია, მიუხედავად იმისა ეს მნიშვნელოვანია თუ არა, ის ამ მოთხოვნას მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე დებიტორული დავალიანებების ჯგუფს მიაკუთვნებს და ამ ჯგუფს კოლექტიურად შეაფასებს გაუფასურებაზე.

გაუფასურებაზე კოლექტიურად შეფასების მიზნებისათვის მოთხოვნებს აჯგუფებენ მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. აღნიშნული მახასიათებლები შესაფერისია მსგავსი აქტივების ჯგუფის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებისათვის, რადგან ისინი გვიჩვენებენ მოვალის უნარს, განახორციელოს შესაფასებელი აქტივების სახელშეკრულებო პირობებით გათვალისწინებული ყველა გადახდა. სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც შეფასდება, რომ ინდივიდუალურად გაუფასურებული არ არის, კოლექტიურად ფასდება გაუფასურებაზე, ფილიალში მსგავსი ასაკის მოთხოვნის ამოღების ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით.

სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხები ემყარება კონკრეტულ ასაკობრივ კატეგორიაში ამოღების დონებთან მიმართებით ისტორიულ გამოცდილებას. გაუფასურების ანარიცხების ოდენობა სენსიტიურია გამოყენებული კონკრეტული პროცენტისადმი. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს შეფასებულისგან და შესაძლებელია კომპანიის შეფასებების მომავალში გადასინჯვა, უარყოფითად ან პოზიტიურად, რაც დამოკიდებულია საბოლოო შედეგზე ან თითოეულ რისკთან დაკავშირებული ფაქტების საფუძველზე წარმოქმნილ მოლოდინზე (შენიშვნა 7).

ქეთევან ზეიფაშვილი

შპს ფილდკორ სერვის სოლუშენს ინტერნეშნალ ჯორჯია ფილიალი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

6 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საზოგადოდ, მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევა, როდესაც მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის გაკონტროლება, ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება გამახვილებულია ურთიერთობის შინაარსზე და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმაზე.

დაუფარავი ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

ათასი აშშ დოლარი	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერი		2020 წლის 31 დეკემბერი		2020 წლის 1 იანვარი
		სათაო ოფისი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები	სათაო ოფისი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები	სათაო ოფისი
სავაჭრო მოთხოვნები	8	-	-	-	1,735	-
სავაჭრო ვალდებულებები	9	239	34	-	476	-

დაკავშირებულ მხარეებთან გარიგების თანხები:

ათასი აშშ დოლარი	2021	2020
	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები
ამონაგები	748	979
პროფესიული ხარჯები	(164)	(321)
გამოყენებული მასალები	(237)	(216)

სათაო ოფისის მიმართ სავაჭრო ვალდებულების შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ მე-9 შენიშვნა.

7 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ათასი აშშ დოლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 1 იანვარი
მოთხოვნამდი საბანკო ნაშთები	1,248	255	46
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,248	255	46

მოთხოვნამდი საბანკო ნაშთები დენომინირებულია აშშ დოლარში და განთავსებულია JPMorgan Chase ბანკში, რომლის საკრედიტო რეიტინგია “AA-“ Fitch Ratings-ის მიხედვით.

ქეთევან ჭეიშვილი

შპს ფილდეორ სერვის სოლუშენს ინტერნეშენალ ჯორჯია ფილიალი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

8 სავაჭრო მოთხოვნები

ათასი აშშ დოლარი	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 1 იანვარი
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებული მხარეებისგან	6	-	1,735	579
სულ სავაჭრო მოთხოვნები		-	1,735	579

9 სავაჭრო ვალდებულებები

ათასი აშშ დოლარი	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წ. 31 დეკემბერი	2020 წლის 1 იანვარი
სავაჭრო ვალდებულებები		24	424	351
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებული მხარეების მიმართ	6	273	476	79
სულ სავაჭრო ვალდებულებები		297	900	430

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებული მხარეების მიმართ სავაჭრო ვალდებულებები მოიცავდა 239 ათასი დოლარის ოდენობის ქსელში მონაწილეობის საფასურს, რომელიც გადასახდელი იყო სათაო ოფისისთვის (2020: ნული). აღნიშნული საზღაური განისაზღვრა ტრანსფერ ფრაისინგის ანალიზის შედეგად და მიზნად ისახავს, რომ ფილიალი იყოს შესაფერისი ტრანსფერ ფრაისინგის მარუის ფარგლებში.

10 სათაო ოფისზე მიკუთვნებადი წმინდა ნარჩენი

ათასი აშშ დოლარი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 1 იანვარი
სათაო ოფისისთვის გადასახდელი თანხები	550	550	50
გაუნაწილებელი მოგების ცვლილება:			
ფინანსური წლის დასაწყისში	392	56	-
წლის მოგება	10	336	56
სათაო ოფისზე მიკუთვნებადი წმინდა ნარჩენი	952	942	106

ქეთევან ჭყეშელაშვილი

13 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მას ადეკვატური უზრუნველყოფა აქვს საგადასახადო ვალდებულებებისთვის და ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გამოსაყენებელი ინტერპრეტაციების მიმართ. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები, შესაძლოა იყოს განსხვავებული და გავლენა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებზე, თუკი ორგანოები წამატებით მოიყვანენ მოქმედებაში მათ ინტერპრეტაციებს, შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულაციების დაცვა ვითარდება და სამთავრობო ორგანოების სააღსრულებო პოზიცია მუდმივად გადაიხედება. ფილიალი პერიოდულად აფასებს გარემოსდაცვითი რეგულაციებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. როგორც კი ვალდებულებები განისაზღვრება, ისინი დაუყოვნებლივ აღიარდება. პოტენციური ვალდებულებები, რომლებიც შესაძლოა წარმოიქმნას არსებული რეგულაციების, სამოქალაქო დავების და კანონმდებლობის ცვლილებების შედეგად, არ შეიძლება იყოს შეფასებული, თუმცა შესაძლოა იყოს არსებითი. არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, სააღსრულებო კლიმატის პირობებში, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოზე მიყენებული ზიანისთვის.

14 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, ადგილი არ ჰქონია რაიმე სახის მნიშვნელოვან მოვლენას.

შპს ფილდკორ სერვის სოლუშენს ინტერნეშენალ ჯორჯია ფილიალი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

11 ამონაგები

ათასი აშშ დოლარი	2021	2020
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	748	979
სულ ამონაგები	748	979

12 სხვა საოპერაციო ხარჯები

ათასი აშშ დოლარი	2021	2020
საგადასახადო ხარჯი გარდა მოგების გადასახადისა	239	40
სხვა	1	-
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	240	40

ქსელში მონაწილეობის საზღაურის შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ მე-9 შენიშვნა.

13 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სასამართლო დავები. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფილიალის წინააღმდეგ შესაძლოა

ზოგჯერ სასამართლოში შეიტანონ სარჩელი. საკუთარი შეფასებისა და როგორც შიდა, ისე გარე

პროფესიული რჩევის საფუძველზე ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ სარჩელებთან დაკავშირებით წარმოქმნილი ზარალი არ იქნება არსებითი ან იმაზე მეტი, ვიდრე წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებში გათვალისწინებული ანარიცხები.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გადასახადები სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვას და გამოძიებას ექვემდებარება, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საპროცენტო ხარჯების დაწესების ძალაუფლება.

საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს. ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში.

ფილიალის გაურკვეველი საგადასახადო მდგომარეობა ხელმძღვანელობის მიერ გადაფასდება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღრიცხულია მოგების გადასახადის პოზიციებზე, რომლებიც, ხელმძღვანელობის მოსაზრებით, დამატებითი გადასახადების დარიცხვის მიზნით შეიძლება გახდეს იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო ორგანო გაასაჩივრებს ამ პოზიციებს.

შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომელიც ძალაშია ან საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის იქნება ძალაში შესული. ჯარიმების, პროცენტისა და მოგების გადასახადის გარდა, გადასახადების ვალდებულებები აღიარებულია ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასებაზე დაყრდნობით, რომელიც ეხება საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო დანახარჯებს.

ქეთევან ჭყეშელაშვილი 11

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N221318801



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

29.09.2022 წ

სანოტარო მოქმედების
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

სალომე სალუქვაძე

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული,
კომერციული ფართი #4, 3ა

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

577921111

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

28041627776022



ორიათას ოცდაორი წლის ოცდაცხრა სექტემბერს, მე, სალომე სალუქვაძე, ნოტარიუსი ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიუროს მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული, კომერციულ ფართი #4, 3ა-ში, ვამოწმებ თარგმანის ქვეყნის ბეჭედიშვილის, დაბ. 09.04.1979წ. პირადი #01018003510, პირადობის მოწმობა #11IB13032 /დიპლომი #AA 0067541, გაცემული ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2001წ./ ხელმოწერის ნამდვილობას, მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - შპს ფილდკორ სერვის სოლუშენს ინტერნეტულ ჯორჯია ფილიალი მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს სტანდარტები) შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბერი, თარგმანზე. მე ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარგმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმანის სისწორეზე. მან დამიდასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს. თარგმანი შესრულებულია ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე. გადახდილია საბაჟო: "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საბაჟოსა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული #507-ე დადგენილების 31.4-ე მუხლის თანახმად 42.00 ლარი და 39.1. მუხლის თანახმად ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 5.00 ლარი. სულ გადახდილია 47 (ორმოცდაშვიდი) ლარი.

ნოტარიუსი სალომე სალუქვაძე

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გაღმწევა შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18



